



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 57

2013 წლის 29 მარტი  
ქალაქი ხაშური

სსიპ ხაშურის №1 საჯარო სკოლისათვის „ხაშურის №1 გიმნაზიის“  
სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს  
ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 21 მარტის  
№194 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების  
წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ხაშურის №1 საჯარო სკოლას “ხაშურის №1  
გიმნაზიის” სახელის მინიჭებისათვის.
2. ეს განკარგულება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ  
მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის  
გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №13).

საკრებულოს თავმჯდომარე  დავით ლომიძე

